13.08.2025
N 1479

1479-09-02-11-3-202508131730

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დასკვნა

„მასტექტომიის შედეგად მკერდის აღდგენითი ოპერაციების
სახელმწიფო დაფინანსების“ თაობაზე პეტიციის შესახებ

(N09-02-13-შ/456, 11.08.2025 წ. პეტიციის ავტორი: ქეთი შანთაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „მასტექტომიის შედეგად მკერდის აღდგენითი ოპერაციების სახელმწიფო დაფინანსების“ თაობაზე მოქალაქე ქეთი შანთაძის 2025 წლის 11 აგვისტოს N09-02-13-შ/456 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140^1 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი